

სამხალხო უზუნალი

„რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

ოფიციალი განყოფილება.

ბ რ ქ ა ნ ე ბ ე ბ ი.

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 28

აყვანილნი არიან: ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის, ქვეითა ჯარში, ბათუმის პარტიზანულ პოლკში პოდპორუჩიკის ხარისხზე: პრაპორუჩიკები: ჯღამაია (იასონო), ტუსკია (აკაკი). ბრეგვადე (კონსტანტინე), მაჭავარიანი (ერმოლოზ), სფანდრაშვილი (პავლე), დავითულ ანი (კალისტრატ) და დამქვიაშვილი (ალექსანდრი).

პორუჩიკის ხარისხზე: პოდპორუჩიკები: მალაშხია (ალექსანდრე), სანაია (პლატონ), ისტინოვი (ალექსანდრე), სამუშია (დიმიტრი), ხმალაძე (დავით), კვერკველია (პოლონი), შენაგელია (სამო), შენგელია (პანტელეიმონი), სიღამონ-ერისთავი (გიორგი), შენგელია (აკეთსიმე), ჩხიკვაძე (მინ) და ნიკოლაიშვილი (შალვა).

შტაბს-კაპიტანის ხარისხზე: პორუჩიკები: ცეკვავა (გიორგი), უბალიშვილი (კორისი).

კაპიტანის ხარისხზე: შტაბს-კაპიტანები: ანდრულაძე (გრიგოლი), ბერიძე (ავქსენტი), ქუთათელაძე (გიორგი) და თუმანიშვილი (ზაქარია), გურგენიძე (დიონისი).

13 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 29.

დათხოვნილია: სათადარიგოთ, საინჟინერო ჯარში, ტფილისის მაზრაში, მივლენილი ხამხედრო სამინისტროსთან პოლკოვნიკი ვაჩხაძე (დავით).

გადაყვანილია: უფროსი ბეითალი 1-ლი ცხენოსან პოლკისა გურგენიძე სარემონტო სექციის ბეითალად.

გამწესებული: სათადარიგოთ მყოფი ბეითალი კაპიტანი 1-ლ ცხენოსან რაზმის უფროს ბეითალდ. ინიშნება: მე-2 ცხენოსან რაზმში უცროს ბეითალდ მესხი.

13 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი

№ 30

განწესებული არიან: სათადარიგოთ მყოფნი, იმ დღიდან, რომლიდგ ნაც ბრძანებაში იქმნენ გასულნი ნაწილებში.

მე-4 ქვეითა პოლკში. ტაბს-კაპიტანები: კუჭუხიძე, მესხი; პორუჩიკები ოსიუოვი, ჯარჯიშვილი, ქაქანიძე, მანლოვი, ლაბაძე, ხუციშვილი, წერეთელი, დოლიძე, გალუსტაშვილი;

პოდპორუჩიკები: თოფურიძე, ქანტურია, გძელიშვილი, შოთაძე, კაკინოვი, ქურხული, გაბელია, ძიძიგური, მაჭავარიანი, ქეიშილი;

პრაპორუჩიკები: მაისურაძე, გოგოლაშვილი, იაშვილი, მართავა, გვილავა, ჰაპეროვი, სურგულაძე, ხუჭუა, შენგელია, რჩვიაშვილი, სუთიძე, ბახტაძე, თვილაძე, ასათიანი, თევდორაძე, ობოლაძე, გიორგაძე, ჭყონია, ვარუბოვი და გოგოლაძე.

მე-5 ქვეითა პოლკში: პორუჩიკი ხუციევი.

პოდპორუჩიკები: ფხაკაძე, დეისაძე, კობიაშვილი, ქარსელოვ-დავიდოვი, კურტივაძე, ნარჩენაშვილი, წითლანაძე, სულავა, გოგიტიძე, ნამორაძე და გედევანიძე.

პრაპორუჩიკები: გვალია, ნოსელიძე, ჭყონია, თოღუა, სიხარულიძე, ვასილ-ევი, პაიქაძე, ნინუა, კვირიკაძე, პავლიაშვილი, თუხარლი, ერისთავი, მესხი, მენაბდე, საჯაია, მდინარაძე, ჩახლაძე, ჩიმაკაძე, ძულუხია, ჯიქი, ჩხეაშვილი, ფაილაძე, ჭკალუა, ანთაძე, ბეზაძე და იმედაშვილი.

მე-6 ქვეითა პოლკში: პორუჩიკები: მატკავა, ხონელიძე, გოგაძე და მარინდაშვილი.

პოდპორუჩიკები: ჩოჩია და მამალაძე.

პრაპორუჩიკები: ბეროვი, ხატისკაცი, ყვააძე, ერქომაიშვილი, ბარელაძე, ჩეჩელაშვილი, დარახველიძე, ჩხაიძე, ბაკურაძე, მუმლაძე, ნიჭარაძე, კაჩავა, თოიძე, ინწკირველი და ყუშიტაშვილი.

მე-2 საარტილერიო ბრიგადაში: პორუჩიკი თოხაძე.

პოდპორუჩიკი ვაჩხაძე. პრაპორუჩიკი გვაზავა.

მე-2 ქვეითა პოლკში: პორუჩიკი სოხაძე (კონსტანტინი).

პოდპორუჩიკი სინაურიძე (ანდრია).

პრაპორუჩიკები: მესხი (შალვა) და მგალობლიშვილი (სფირიდონი).

საეტაპო ბატალიონში: კაპიტანი პალუაშვილი —საეტაპო ბატალიონის უფროსად.

პორუჩიკები: წულაია, ქორქია, ნოზაძე.

პოდპორუჩიკები: ქუთათელაძე, კუკალია და თუშმალიშვილი.

პრაპორუჩიკები: დათიშვილი, ტატიშვილი, შუბლაძე (კონსტანტინე), შუბლაძე (კლემენტი), მეღალიშვილი, ჩივოგიძე, კავთარაძე, წერეთელი I და წერეთელი II.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 31.

განწესებული არიან: ლაშქრის სასაწიკავო ბატალიონში—კაპიტანი ქომულაძე, შტ.-როტმისტრი პრუსეცკი, შტ.-კაპიტანი კონტრიძე, პორუჩიკი შანშივეი, პოდპორუჩიკები: რამიშვილი, სუხიტოვი, ჯაფარიძე, შიოგვი და ერისთავი, პრაპორუჩიკები: მათიაშვილი, ხუციგვი, ვარდუაშვილი, გძელიძე და ჩანუკვაძე, მოხელეები ჟღენტი, აბაკელია, კამკამიძე, ბურაშვილი და გაბოტჩენკო.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 32.

ინიშნებიან: პოლკოვნიკი თუშმალიშვილი ტფილისის საინტენდანტო სანიტო საწყობის უფროსად 28 ივნისიდან წარსულ 1918 წლისა.

დროებით სასურსათო საწყობების გამგეთ ქალ. ახალქალაქში მოხელე ევაძე 8 ამ იანვრიდან და აშალა-სერალში მოხელე ბერაია 2 ამ იანვრიდან.

მე-5 ქვეითა პოლკში პორუჩიკი ჩხაიძე.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 33

ინიშნებიან: დღიდან ძრძანებაში გასვლისა ნაწილებში: 1-ლ ქვეითა პოლკის—მღვდლად დეკანოზი ჯაჯანაშვილი, მეორე ქვეითა პოლკის—დეკანოზი დონჯაშვილი, მე-3 ქვეითა პოლკის—მღვდელი აბესაძე (გლაკტიონ) მე-4 ქვეითა პოლკის—მღვდელი თომასიძე, მე-5 ქვეითა პოლკის—დეკანოზი ცაცქიშვილი, მე-6 ქვეითა პოლკის—მღვდელი მენტეშაშვილი.

სანაპირო ჯარში: შავი ზღვის რაზმის—მღვდელი გალოგრაე, დარიალის რაზმის—მღვდელი ოქროპირიძე, მანგლისის რაზმიზ—დეკანოზი თოთიბაძე, არმიის მთავარ ხუცესის თანამდებობის დაკისრებით.

ცხენოსან ბრიგადაში: 1-ლ ცხენოსან პოლკის—დეკანოზი ხიზანაშვილი, მე-2 ცხენოსან პოლკის—

დეკანოზი ივანიცკი, მე-3 ცხენოსან პოლკის—მღვდელი დათაძე.

ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში: დეკანოზი ლაშვი, ქუთაისის საავადმყოფოში—მღვდელი აბესაძე (ნესტორ).

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 34.

დატოვებულია: შტატს-გარეშე, შტატების შემოკლების გამო, საავტომობილო გუნდის ომის დროის სამხედრო მოხელე კაბანოვი (ალექსი).

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 35.

გადაყვანილია: 1-ლ ქვეითა დივიზიის თანმხლებელი ასეულის შტაბს-როტმისტრი აბაშიძე ქართველ მაჰმადიანთა ცხენოსან რაზმში.

დათხოვნილია: სათადარიგოთ, ქუთაისის მაზრაში, საინჟინერო ჯარში, სამხედრო ქიმიკოსი პრაპორუჩიკი გოცირიძე პოდპორუჩიკის ხარისხზე აყვანით.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 36.

განწესებული არიან: მე-4 ქვეითა რაზმში: პოლკოვნიკი თუმანიშვილი, შტ.-კაპიტანი ნიკოლაიშვილი, პოდპორუჩიკი კვაჭაძე.

მე-5 ქვეითა რაზმში: კაპიტანი ჯავროვი, შტ.-კაპიტანი მიხაილოვი, შტ.-კაპიტანი გველესიანი, პორუჩიკი ნაჭყეზია, პოდპორუჩიკი ქანტურია.

მე-6 ქვეითა რაზმში: პორუჩიკი დარასელია, პოდპორუჩიკები: იტონიევი, იაკობაშვილი, ბერიევი, ბარნაბიშვილი, ჩიქოვანი, პრაპორუჩიკები: პეტრიევი, ქაქიაშვილი, თოდრია, ვაჩნაძე და ბახტაძე.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 37.

აყვანილია: პოლკოვნიკის ხარისხზე ქართველ მაჰმადიანთ ცხენოსან რაზმის უფროსი შარვაშიძე.

ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, პორუჩიკის ხარისხზე ტფილისის მფრინვთა რაზმის პოდპორუჩიკი გორგაძე უფროსობის მინიჭებით 1-ლ ივლისიდან 1918 წლ.

17 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 38

დათხოვნილი არიან: გამოუცხადებლობის გამო ბრიგადაში, სათადარიგოთ ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, მივლენილნი არმიის არტილერიის ბრიგადაში: პორუჩიკები: ბუნდელიაშვილი, სანებლიძე, დისანცინი და იგნატიევი, პოდპორუჩიკები: აბულაძე, თევზაძე, პრაპორუჩიკი გამრეკელიძე.

17 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 39.

დათხოვნილნი: სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში: ყოფილის მე-6 ქართულ მსრო-



ლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი გოდერზოვი, ყოფილის მე-201 ქვეითა ფოთის პოლკის პორუჩიკი ჯაბავა, ჯარის მიმღებ გამგზავრების გამგე პოდპორუჩიკი ესაძე, ბათუმის პარტიზანულ პოლკის პრაპორშჩიკი ხუხია, პრაპორშჩიკი კუჩუაშვილი, ბათუმის პარტიზანულ პოლკის პრაპორშჩიკი ჭუმბურიძე, ყოფილის მე-2 შავი ზღვის სანაპირო ბატალიონის პრაპორშჩიკი გაბაევი, ყოფილის მე-12 ქართულ მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ელისაბედაშვილი, ყოფილის მე-9 ქართულ მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ჩოლაყაევი, ყოფილის რუსგერმანულ მსროლელი პოლკის ექიმი მაიერი, ინტენდანტი ჯავნოსან ავტოროტისა გუბერნსკი სეკრეტარი ხაჩიძე.

ქუთაისის მაზრაში: 1-ლ შავი ზღვის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტნები ჟორჟოლიანი და ობრაზცოვი, ბორჯომის ტყვიასაფრქვევთა პარკის პორუჩიკი ჭავჭავანიძე, პორუჩიკი ბერძენი, პოდპორუჩიკი კუნჩულია, ყოფილის სანაპირო რაზმის 1-ლ ქართულ მსროლელი დივიზიის პრაპორშჩიკი იმედაძე, ყოფილის 1-ლ ქართულ ქვეითა დრუჟინის პრაპორშჩიკი ჭყონია, მე-3 დარიალის სანაპირო რაზმის პრაპორშჩიკი ჟღენტი, სამხედრო დროის მოხელე სემილევტოვი.

სოხუმის მაზრაში: ზაურიად პრაპორშჩიკი კუცია.

ახალციხის მაზრაში: კორნილოვის დამრტყმელი პოლკის პრაპორშჩიკ ინასარიძე.

გორის მაზრაში: ყოფილის მე-11 ქართულ მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი კობინოვი.

17 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 40

ინიშნებიან: მე-2 საარტილერიო ბრიგადაში დლიდან ნაწილებში ბრძანებაში გასვლისა. კაპიტნები: ბითიევი და სპირნოვი.

შტაბს-კაპიტნები: გოგოლაშვილი, ყანჩელი, რაჩინსკი, ლორთქიფანიძე და თუხარელი.

პორუჩიკები: მანსვეტოვი, მაყაევი და ხვედელია.

პოდპორუჩიკები: ფერაძე, აბაშიძე, ავტიკი, ჩრდილელი, მესხიევი 1-ლი, ქართველოვი, კანდელაკი, ფავლენოვი, პავლოვი, ბოსტაშვილი, ზანდუკელი, გამრეკელი, დვალი, მესხიევი, ჩიქოვანი, საყვარელიძე და ცაგარეიშვილი.

მიივლინებიან: კაპიტანი კობარდო და პრაპორშჩიკი კარბოვსკი.

ჯარის სხვა და სხვა ნაწილიდან საარტილერიო კურსის გასავლელად: შტაბს-კაპიტანები: კინგისენი კასრაძე.

პორუჩიკები: სანიკიძე, კორძახია, კოსტანოვი,

მაქავარიანი, არღანიანი, კიციანოვი და მარჩვილი. პოდპორუჩიკები: წერეთელი, ჩიჯავაძე, თითბერიძე, ზედგინიძე, გედევანოვი, კოვტუნოვი, კიკნაძე, ტომარაძე, სიმონოვიჩი, ბრზეძინსი და კორნეტი პაროშინი.

პრაპორშჩიკები: თევზაძე, ჩერომსკი, მირიანოვა, კვალიევი. ყარალოვი, რუსიევი, ფონრესე, ფავლენოვი და გოდლევისკი.

სამხედრო დროის მოხელენი: გურჯია, იმერლიშვილი, სიონიძე, მაისურაძე, ცუბა, ჯაფარიძე და კოლეჟსკი რეგისტრატორი შრევლოვი.

18 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 41.

საველე შტაბის დაშლის გამო ყველა სამხედრო ხარისხოსანთ ხსენებულის შტაბისა ევალებათ შეუდგნენ თავის პირდაპირ მოვლენობათა აღსრულებას.

ცნობა: ბრძანებები სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ 1918 წ. № № 170 და 273.

18 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 42

საველე შტაბის დაშლის გამო, ატნიშნულ შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი იმნძე წაივლინება ჩემს განკარგულებაში დივიზიის უფროსის ჯამაგირის დანიშვნით.

ცნობა: ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ 22 ოქტომბრიდან 1918 წლიდან № 118.

20 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 43

გამორიცხულია სიებიდგან, გარდაცვალებული, შტატს გარეშე მყოფი, პოლკოვნიკი შარვაშიძე ამ 14 იანვრიდან.

20 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 44

დათხოვნილია საინჟინერო ჯარში, სათადარიგოთ, ტფილისის მაზრაში—სატეხნიკო ათასეულის პოდპოლკოვნიკი ზილოვი (ბორისი).

ცნობა: ბრძანება მთავრობისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ № 174.

დათხოვნილნი არიან: სამსახურიდან, საავტომობილო გუნდის პორუჩიკი სკლიაროვსკი აღექსანდრე და ჯავნისანი საავტომობილო გუნდის პორუჩიკი არლოვი სერგი.

ცნობა: ბრძანებები მთავრობისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ № № 174 და 177.

დამთავრეს: საპიროთა ათასეულთან არსებული დროებითი სატელეფონო საქმის კურსები: მე-2 ქვეითა რაზმის პორუჩიკმა კიკაბაძემ და პრაპორ-



შიკმა კანდელაკმა, მე-4 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტანმა ჩაკვეტაძემ, 1-ლ ცხენოსან პოლკის შტაბს-როტმისტრმა ლომაურმა, მე-2 საარტილერიო ბრიგადის პოდპორუჩიკმა იოსებაშვილმა, მე-3 დივიზიონის არმიის საარტილერიო ბრიგადის პრაპორშიკმა გეგენაევამ, 1-ლ შავი ზღვის სანაპირო რაზმის პოდპორუჩიკმა პაიჭაძემ და პოდპორუჩიკმა ჩიხლაძემ და მე-6 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტანმა მირიანაშვილმა.

ინიშნება 1-ლ ცალკე საპიორთა გუნდში პოდპორუჩიკი მგალობლიშვილი.

20 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 45

იყვანილია: სამსახურში თავის გამოჩენისათვის, საალტ ლერიო ჯარში, პოდპოლკოვნიკის ხარისხზე, ცხენოსან ბრიგადის შტაბის უფროსი კაპიტანი სიღამონ-ერისთავი.

20 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 46

ინიშნებიან დღიდან ნაწილებში ბრძანებაში გასვლისა: საავიაციო გუნდში: სამხედრო მფრინავები—შტაბს-კაპიტანი მაყაშვილი ნიკოლოზ, შტაბს-კაპიტანი სტროგევი ვლადიმერ, პორუჩიკი თოხაძე, ერმილე, პორუჩიკი მესხიაშვილი დავით, პოდპორუჩიკი დავითაშვილი სიმონ, პოდპორუჩიკი მალაშუყია გრიგოლ, პრაპორშიკი გრიგოლაშვილი პავლე, პოდპორუჩიკი მაყაშვილი ალექსანდრე და მფრინავი მოხალისე ავალიანი.

მფრინავნი-მეთვალყურნი: კაპიტანი ლოლობერიძე ბორის, შტაბს-კაპიტანი კალანდარაშვილი აკაკი, შტაბს-კაპიტანი იაკობაშვილი ალექსი, პოდპორუჩიკი მესხიეშვილი გრიგოლ. პოდპორუჩიკი კანდელაკი დივით, პორუჩიკი მაჭავარიანი სერგო, კაპიტანი თოხაძე ვასილი, კაპიტანი კიკნაძე ევგენი, პოდპორუჩიკი უშვერიძე გიორგი, პოდპორუჩიკი ამასუჯელი ილია, პრაპორშიკი უშვერიძე ნიკოლოზ.

მოწაფეთ საავიაციო სკოლაში: კაპიტანი ბლაგოდატინი გიორგი, შტაბს-კაპიტანი ბოგომოლოვი ვლადიმერ, შტაბს-კაპიტანი ციციშვილი იოსებ, შტაბს-კაპიტანი შებოლდაევი ალექსანდრე, პორუჩიკი დავითიშვილი ბიძინა, პორუჩიკი ფალავანდოვი ვიქტორ, პოდპორუჩიკი ბრიუბერგი ბორის, პოდპორუჩიკი ყანჩელი ლევან, პოდპორუჩიკი კსრაძე ნიკოლოზ, პოდპორუჩიკი ნიკოლსკი ბორის, კორნეტი კლტაევა პროკლე. პრაპორშიკი ხიზანაშვილი შალვა.

საქმის მწარმოებლად: სამხედრო დროის მოხელენი პაპიტოვი, კეკელია და ჩხიკვაძე.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 92.

განთავისუფლებული არიან: იმ თანამდებობიდან, რომელზედაც იმყოფებოდნენ, ტფილისის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი გენერალ-მაიორი არდიშვილი და მ-სი თანაშემწე სამეურნეო ნაწილში გენერალ-მაიორი სტრელეცკი.

ცნობა: ბრძანება სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ 25 დეკემბრიდან 1918 წლის № 263 და 6 იანვრიდან 1918 წლის № 4.

ამორიცხული არიან: არმიის ოფიცერთა სიებიდან მე-2 ქვეითა პოლკის პორუჩიკი კიკაბიძე, პოდპორუჩიკები კობახიძე და სულაქველიძე. პრაპორშიკი კავთარაძე და ქალაქ ქუთაისის 1-ლ უბნის კომისარი პოდპორუჩიკი ჩიკვინიძე, არა კეთილსინდისიერ მოქმედებისათვის, რომელიც ოფიცერთა წოდებულებს ღირსებას შეურაცხყოფს.

ცნობა: 1-ლ ქვეითა დივიზიის უფროსის პიტაკი № 411, 410 და 433.

6 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 93.

დანიშნული არიან: სამსახურის სარგებლობისათვის ჩემს განკარგულებაში სანაპირო ჯარის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი კაკაბაძე, უკანასკნელ თანამდებობის მიხედვით ჯამაგირის შენახვით.

მე-2 ქვეითა დივიზიის ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი წულუკიძე, ჩემს განკარგულებაში, ჯამაგირის შენახვით უკანასკნელ თანამდებობის მიხედვით და ბრიგადის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლებით, რადგან დანიშნულია გამოძიება იმ მიზეზთა გამოსარკვევად, რომელთაც გამოიწვიეს სანაინიდან მისი რაზმის უკან დახევა.

გენერალ-მაიორნი დადგეშელიანი და ყაალაშვილი გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიაში, ჩემს განკარგულებაში მყოფ ხარისხოსანთა მოვალეობათაგან განთავისუფლებით.

გარიცხულია: მე-5 ქვეითა პოლკის ბატალიონის უფროსის თანამდებობიდან პოლკოვნიკი ვაჩნაძე, გამოკითხვის წარმოების გამო, მის ჩიერ ოფიციალურ პიტაკის პოლკის უფროსის სხელზე გახეთ „გრუზია“-ში გადაცემის შესახებ.

7 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 94.

გამორიცხულია: არმიის საალტილერიო ბრიგადის სიებიდან ქრილობებისაგან გარდაცვლილი კაპიტანი გრიგოლია 13 დეკემბრიდან 1918 წლის.

ინიშნება: არმიის საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის უფროსად იმავე ბრიგადის პოდპოლკოვნიკი ვაჩნაძე გიორგი 15 დეკემბრიდან 1918 წლისა.



დათხოვნილია: თანახმად მისი თხოვნისა დროებითი დანიშნული დამატებით შტატებში საბინაო სექციის ტექნიკოსი ჯაოშვილი დემობილიზაციის გამო 26 იანვრიდან 1919 წლისა.

მიიღონება: მე-5 ქვეითა პოლკის პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, საადმინისტრაციო განყოფილების საბინაო სექციასთან.

7 თვეგრული 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 95.

ინიშნებიან: ჩემს განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი ფურცელაძე მე-2 ქვეითა დივიზიის ბრიგადის უფროსათ.

სანაპირო ჯარის მე-2 მანგლისის რაზმის უფროსი პოლკოვნიკი საგინოვი სანაპირო ჯარის უფროსის თანაშემწეთ.

მე-3 ქვეითა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ჩხეიძე—სანაპირო ჯარის მე-2 მანგლისის რაზმის უფროსათ.

ოფიცერთა პოლკის, აწ უკვე დაშლილის, უფროსი გენერალ-მაიორი ბაქრაძე—მე-3 ქვეითა პოლკის უფროსათ.

სანაპირო ჯარის მე-2 მანგლისის რაზმში, ყოფილ მე-II კავკასიის მსროლელთა პოლკის შტაბს-კაპიტანი ვაბილვაძე იროდიონი.

7 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 96.

დათხოვნილი არიან: სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში: ყოფილ მე-6 ქართულ მსროლელ პოლკის შტაბს-კაპიტანი ყარალაშვილი, მე-2 საარტილერიო ბრიგადის შტ.-კაპიტანი ლორთქიფანიძე, მე-6 ქვეითა პოლკის პორუჩიკები: გოგაძე, მანთავა, შირინდაშვილი, მე-5 ქვეითა პოლკის პორუჩიკი ნაჭყებია; სამტრედიის სადგურის კომენდანტი პოდპორუჩიკი კალაშნიკოვი, მე-6 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკები—ცუცქირიძე, იშოტივეი და ბერივეი; მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატერიის პოდპორუჩიკები: გამრეკელი და ლიპარტელიანი; მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-6 ბატერიის პოდპორუჩიკი ცაგარეიშვილი; მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1-ლ ბატერიის პოდპორუჩიკები: კანდელაკი და ქართველიშვილი; მე-6 ქვეითა პოლკის პრაპორუჩიკები: ჩაჩავა, ინჭკირველი, თოიძე, შალამბერიძე, ნაცვალაძე, სამადალაშვილი, კვალიაშვილი, ბოროვეი, კურდოვი; ყოფილ მე-4 ქართულ მსროლელ პოლკის პრაპორუჩიკები: ბიბილური, გოგოლაშვილი; ყოფილ ქართულ სათადარიგო ბატალიონის პრაპორუჩიკი იტანივეი; ყოფილ 1-ლ ქართულ მსროლელ პოლკის პრაპორუჩიკი კრომერი, მე-2 ცხენოსან პოლკის პრაპორ-

უჩიკი ვასაძე; თელავის სადგურის კომენდანტი პრაპორუჩიკი ციხისთოვი; სანდარის სადგურის კომენდანტის თანაშემწეები: პრაპორუჩიკები შალამბერიძე და გრიგოლავა; რკინ ს გზის სადარაჯო ბატალიონის პრაპორუჩიკი ყანჩაველი, პრაპორუჩიკი კინწურეიშვილი; დასავლეთ ფრონტის არმიის საინტენდანტო სამმართველოს სამხედრო დროის მოხელე სარაჯიშვილი.

ქუთაისის მაზრაში: შტაბს-კაპიტანი გურგენიძე, შტაბს-კაპიტანი ჯაფარიძე; მე-6 ქვეითა პოლკის პორუჩიკები ხონელიძე და გუბელაია; მე-2 სანაპირო რაზმის პორუჩიკი მიქაბერიძე; 1-ლ შავი ზღვის რაზმის პოდპორუჩიკი კვიციველია; მე-6 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკები: თორდია, მამალაძე, იაკობაშვილი, ქეღია; სამხედრო სამინისტროს საწიკავეის პოდპორუჩიკი ერისთავი; მე-6 ქვეითა პოლკის პრაპორუჩიკები: ბარალაძე, ბკურაძე, გვალაძე, დარახველიძე, ყვავაძე, ჩხაიძე, ჩიჩელაშვილი; 1-ლ შავი ზღვის რაზმის პრაპორუჩიკი მშველიძე; ყოფილ 1-ლ ქართულ ქვეითა დრუჟინის პრაპორუჩიკი იმნაძე; ყოფილ ქართულ ტყვიამფრქვეველთა პარკის პრაპორუჩიკები; წვ რავა და ჭავჭავაძე; ყოფილ ცალკე ტფილისის მსროლელ ბატალიონის პრაპორუჩიკი გუგუშვილი; ყოფილ მე-5 ქართულ მსროლელ პოლკის პრაპორუჩიკი ხუნდაძე.

გორის მაზრაში: მე-6 ქვეითა პოლკის პორუჩიკი ბეჟანეიშვილი, პრაპორუჩიკი კობინოვი; მე-2 საალტილერიო ბრიგადის სამხედრო დროის მოხელე ჯაფარიძე.

თელ ვის მაზრაში: მე-6 ქვეითა პოლკის პორუჩიკი პეტრევი.

4 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 97.

ინიშნება: ყოფილი ახალციხის მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწე პორუჩიკი კობოხვეი დუშეთის მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწედ. სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

8 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 98.

მე-2 ქვეითა დივიზიის უფროსის გერენალ-მაიორ მაზნიაშვილის ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორათ დანიშვნის გამო დივიზიის უფროსის თანადებობის დროებით აღსრულება ევალება ბრიგადის უფროსს გერენალ-მაიორ ფურცელაძეს.

10 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 99.

განთავისუფლებულია: ტფილისის გარნიზონის უფროსის თანადებობისაგან გენერალ-მაიორი ახმე-



ტელაშვილი სამხედრო სამინისტროსთან მითვლით.
10 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 100

ტფილისის გარნიზონის უფროსის თანამდებობის დროებით აღსრულებას შეუდგეს მისი თანაშემწე პოლკოვნიკი თუმშალიშვილი.

10 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი
№ 101

ჩემი თანაშემწის გერენალ-მაიორის მდივნის ავადმყოფობის გამო, მის თანამდებობის დროებით შესასრულებლათ ვნიშნავ ჩემს განკარგულებაში მყოფ გენერალურ შტაბის გერენალ-მაიორს იმნაძეს.
სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

არა მოწიხალი განყოფილება

ტფილისი, 2 მარტი.

დამფუძნებელი კრება. საყოველთაო, პირდაპირი, არჩევნები—ეს უდიდესი მოვლენაა, როდესაც მთელი ხალხი თავის ნებას და სურვილს დაუბეკლებრივ გამოხატავს და სახელმწიფოებრივ საჭეს თვითონ კიდებს ხელს. ასეთი არჩევნები საბრძოლველი საგანია ჯერ კიდევ მრავალ ადგილას, მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ ეს რევოლუციით მოპოვებული უფლება შეინარჩუნა, ბრძოლით განიმტკიცა და საქართველოს დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნებში მითისარკებლა. რამდენად ფართოდ სარგებლოს მასსა ამგვარი არჩევნებით,—იმდენათ უფრო ხასიათდება მისი განვითარება და პოლიტიკური მომწიფება. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უკვე მოხდა უველგან, სადაც კიდევს კარდუვალი პირობანი ხელს არ უშლიდენ და ამ არჩევნებმა და არჩევნებში მონაწილეთა რიცხვმა რომელიც ნახევარზე მეტია, დაამტკიცა, რომ ხალხი უურადლებით ეწეობა თავის პოლიტიკურ ცხოვრებას და ხელმძღვანელობას აბარებს ბრძოლაში გამობრძოდილთ და ხალხისთვის თავდადებულთ.

მაღე გამოქვეყნდება **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის** არჩევნებისა და სულ ძალევე შეიკრიბება დამფუძნებელი კრება—გამომხატველი ერის ნებაყოფისა და მიმართულებისა. ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი ორგანო, ქვეყნის ბატონ-პატრონი—დამფუძნებელი კრება თავის საქმეს და პირველათ ყოვლისა თავის ჭეშმარიტ სიტევას იტყვის ქვეყნის პოლიტიკურ ბედობაზე.

და ჩვენ გვწამს, რომ ეს მტკიცე სმა და სიტევა იქნება მიმართული საქართველოს დემოკრატიზაციისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავათ.


გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას!

* * *

სწავლა-განათლება ჯარში. როდესაც ჩვენ ჯარში კულტურას შევხებით,—ჩვენ ხასხასამით ვსთქვით, რომ ფიზიკურ ძალის გამაგრებასთან ერთად, უნდა ხდებოდეს გონებრივი და სწავლებრივი ზრდა—გამაგრება და როდესაც ეს ორი ძალა ერთმანეთთან შეხრდილ-შედულებულია,—მაშინ ძლევა მოსილება მისი ყოველთვის უსრუნველყოფილი იქნება. პირველათ ჩვენ უურადდება უნდა მივაქციოთ წერაკითხვის სწავლებას, და ამ მიზნით ჯარში წიგნების მოწოდებას, სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გახსნას. ჩვენ ერთი წუთიც არ გვავიწყდება, რომ ამ მეცადინეობამ სამხედრო საქმეს ხელი არ უნდა შეუშალოს. წერაკითხვის გამრავლებასთან ერთად,—მეორე მხარეს უნდა ექნეს მიქცეული უმთავრესი ყურადღება,—და ესაა ჯარისკაცის შეგნებაში მოქალაქეობრივი ვალდებულების და სამშობლოს წინაშე მოვალეობის ცოდნა და შემოთხვევის დროს მისი განხორციელება:—ქვეყნისათვის თავდადება. ამისათვის კი პირ-



ველთ უოჯლისა ჯარისკაცისათვის აუცილებელია საერთო და ზოგადი ცოდნის მიღება, საერთო განვითარების საჭირო საგნების შესწავლა. ასეთი საგნები კი არის გეოგრაფია, ასტორია და სხვა ასეთი საკითხები. უნდა იკითხებოდეს ლექციები, უნდა ხდებოდეს საუბრები და ჯარისკაცი ამგვარათ უნდა ეცნობოდეს უველა ხალხის მდგომარეობას. ამ შემთხვევაში სამშობლო გეოგრაფიის, სამშობლო ისტორიის და სამშობლოს წესწობილების და პოლიტიკური ცხოვრების შესწავლას ზირველი ადგილი უნდა მიეცეს. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს რას წარმოადგენდა წარსულში მისი ქვეყანა, რა არის იგი დღეს, ვინ არის თვითონ ჯარისკაცი და რისთვის არის მოწოდებული და გაწვეული ჯარში, ვის იცავს და ვინ უნდა დაიცვას მან. მოქალაქეობრივი აღზრდა-განვითარება, სახელმწიფოს-რესპუბლიკის წინაშე უველა ვალდებულებათ ცოდნა, აუცილებელია ჯარისკაცისათვის, და ასეთი შეგნებით შეიარაღებული ამასთანავე იარაღით აღჭურვილი იგი უფრო მედგრათ და თავმოღებით დაიცავს თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს.



ახალციხის მაზრის მუსლიმანი მცხოვრებნი.

ახალციხის მაზრის მუსლიმანი მცხოვრებნი!

საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს მტრებმა ერთხელ კიდევ სცადეს ჩვენი გათიშვა და ფოცხოვოდან ოსმალეთის ასკერების დახმარებით თავს დაესხნენ საქართველოს ჯარს, რამაც გამოიწვია საქართველოს ჯარების დროებით უკან დახევა. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ვერ მოითმენს, რომ მის სახელმწიფოში, რომლის განუყოფელ ნაწილსაც შეადგენს ახალციხის მაზრა, თარეშობდეს უცხო ძალა და ხალხს თავს ახვედეს ოსმალეთის ბატონობას.

ევროპის ყველა სახელმწიფოებთან შეთანხმებით შემოვიდა 5 დეკემბერს საქართველოს ჯარი და დღესაც, იმავე სახელმწიფოების დასტურით, საქა-

რთველოს მთავრობამ მიბრძანა გავწინდროს ახალციხის მაზრა უცხო შემოსეულ ძალებთან და აღვადგინო წესრიგი.

თქვენი მოვალეობაა, მშვიდობიანო მცხოვრებნი, არ დაიძრეთ ადგილებიდან, არ აიყაროთ სოფლებიდან, მოუარეთ თქვენ სარჩო-საბადებელს და კარმიდამოს. არ შეშინდეთ, თქვენ არავინ ხელს არ გახლებს ტყვილაუბრალათ. ჩვენ მოვდივართ მხოლოდ სიმშვიდისა და წყნარების აღსადგენათ და შევებრძოლებით მხოლოდ მათ ვინც იარაღით ხელში შეეცდება საქართველოს ჯარების წინააღმდეგ მოქმედებას.

ფუხარა, მშრომელო ხალხო! ნუ დაუჯერებთ პროვოკატორებს, რომელნიც გატყუილებენ, თითქო საქართველოს მთავრობა მიწებს გართმევდეთ, თქვენი მიწა-წყალი ისევ თქვენ ხელში იქნება, თქვენ ისე მოაწყობთ თქვენ ცხოვრებას, როგორც ეს თქვენთვის საჭიროა.

ჩვენ არ გვინდა სისხლის ღვა. ძმები ვიყავით და ძმები დავრჩებით. მეზობლათ ვცხოვროვდით და ხელი ხელ ჩაკიდებული ვმუშაობდით. დღესაც ასე ვიქნებით, მაგრამ ჩვენი მტრები ვაცდენენ თქვენ. ნუ აყევით მათ, ნუ დაგვადვრევიანთ სისხლს.

მე უნდა ავასრულო საქართველოს მთავრობის ბრძანება, უნდა შემოვიდე ჯარებით ახალციხის მაზრაში და საზღვრები გავამაგრო, რომ შემდეგ უცხო ძალამ კიდევ არ აგიწეო ოჯახი, ისევ არ დაგვატეხოთ უბედურება. მე მინდა, რომ ეს მოხდეს სისხლ დაუღვრელათ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ხალხი, არ განადგურდეს სოფლები.

მუსლიმანო მცხოვრებნი! ვისაც გიყვართ თქვენი ოჯახი, ვისაც გიყვართ თქვენი შვილები, ვისაც გინდა ძმური, მშვიდობიანი ცხოვრება, — ნუ აიღებთ იარაღს და ნუ დაღვრით სისხლს. ნუ დავემდურებით ერთმანეთს, ძმებო, — ერთი დედის შვილები, ერთ ძმძუხვ აღზრდილები, — ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები.

უთხარით მოღალატეთ და ოსმალეთის ასკერებს — დასტოვონ მაზრა, ნუ გადაქცევენ თქვენ ქვეყანას ბრძოლის ველათ, თორემ დაისჯება უდანაშაულო ხალხი, განადგურდება თქვენი ხელით შექმნილი მონება.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას სურს ახალციხეში გათამამებული მტერი ერთხელ და სამუდამოთ შემუსროს და თქვენ შორის მშვიდობა და კეთილდღეობა განმტკიცდეს. იგი განიქებსთ თქვენ სრულ თავისუფლებას — თქვენი შინაური ცხოვრება მოაწყობთ ისე, როგორც გინდათ, თქვენს ადგილობრივ საქმეებს თქვენვე, არჩეული კა-

ცების შემწეობით, გაუძღვეთ. არავინ არ შეეხება თქვენს სარწმუნოებას. ვერ ვინ ვერ გაბედავს თქვენი სინდ სის და ღირსების შელახვას.

ახალციხის მაზრის მცხოვრებნო! საქართველოს რესპუბლიკის და დემოკრატიის სახელით მოვდივართ თქვენთან ძმობის დროშით და მოგვაქვს თქვენთვის წესიერება, მშვიდობა, თვითმართველობა და თავისუფლება.

დადგა საბედისწერო ეპი, როცა თქვენ ახალციხეში უნდა განთავისუფლდეთ საშინელი მტარვალებისაგან და სამუდამოთ ჩაებათ მშვიდობიან კულტურული ცხოვრების ფერხულში.

მთავრობამ დამავალა ვეცადო ეს შევასრულო მშვიდობიანი გზით. მაგრამ თუ ეს არ ინებეს და ხალხის მტრებმა და შესყიდულმა პირებმა ბრძოლა გააჩინეს, იცოდეთ, რომ ჩვენ მაზრას იარაღით გავსწმენდთ.

ველით თქვენგან ნდობას და დახმარებას წესიერების აღსადგენათ და დასაცავათ.

საქართველოს ჯარების სარდალი

გენერალი კვინიტაძე.

რეზიზანთა საპითხი ჯარი.

(გაგძელება).

სამხედრო შკოლაში, სამხედრო-სამეცნიერო მხადებისათვის ერთ უმთავრეს საგნათ ჩვენ მივიჩნიეთ, როგორც ამას მკითხველი დაინახავდა ჩვენ ჟურნალში № 9 მათავსებულ ტაბლიციდან — ტაქტიკა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება იქნეს. მართლაც, ყველა დანარჩენ სამხედრო საგანთა შეთვისება, თუ ტაქტიკური პრინციპების და დებულების გაგება არაა, არ მოგვცემს თვალსაჩინ შედეგს არც ომში საერთოდ, და არც ბრძოლაში განსაკუთრებით. აქ საკითხი პირდაპირ უნდა დაფხვან და გადაწყვიტოთ! ტაქტიკა — სამხედრო-სამეცნიერო მომზადებაში ერთადერთი უმთავრესი საგანია და ყველა დანარჩენი საგანი — დამხმარეა და მიზნათ აქვს გაუადვილოს მუშაობა ტაქტიკას, დაეხმაროს მას ბრძოლის საშუალებათა გარკვევაში და მათ გამოყენებაში. ამას გარდა, როგორც რეისორი რეატრში ანაწილებს ამსრულებელთა შორის როლებს, ისე ტაქტიკამ, რომელიც სხვა სამხედრო საგანთა შორის უმთავრესი საგანია, ამ უკანასკნელთ გარკვევით უნდა უჩვენოს თუ რა პრაქტიკული და თეორიული ცოდნაა საჭირო სამხედრო შკოლის მოღვაწეობის სრულ ვარძონისთვის.

სამხედრო სამეცნიერო მომზადებისათვის, პირველ რიგში უმთავრესად გასაძღვართ და ჩვენ მოვალეობათ ვსთვლით ვაფაფრთხილოთ მკითხველი, რომ საფუძვლათ ჩვენ მივიღებთ სამხედრო შკოლის დანიშნულებას — ოფიცერთ-ტენიკოსთა მომზადება უნცროს აფი ერთა თანამებობების მისაღებათ, და აგრეთვე იმ მოსახრებას, რომ სამხედრო შკოლა, რომელიც არ აძლევს სრულობრივ სამხედრო განათლებას, იძლევა ფართო ასპარეზს ოფიცერთა შემდეგ გასრულოვნებისათვის.

მოგყვავს მოკლეთ არსი პროგრამისა და პრაქტიკულ საკლასო მაცადინობისა:

ტაქტიკა: ა) ელემენტალური:

1. ქვეითი ჯარი: მოძრაობის სიჩქარე; წყობა ასეულისა, ბათალიონისა და პოლკისა (სალაშქრო და საბრძოლველი); საბრძოლველი წყობა; საბრძოლველ რიგთა მოძრაობა და მათზე გამეგებლობა; ცეცხლი; ტყვიის მოწოდება; ქვეითი ჯარის ბრძოლა შეხვედრითი, შეტევითი და თავდაცვითი; ტყვისმფრქვეველები

2. ცხენოსანი ჯარი: მოძრაობის სისწრაფე, სალაშქრო და საბრძოლველი წყობა; იერიში; საბრძოლველი მოქმედება ცხენოსანთა ქვეითის, არტყველერიის და ტყვისმტყორცნელთა წინააღმდეგ; ცხენოსანთა მოქმედება.

3. არტილერია: დანიშნულება; მოძრაობის სისწრაფე; წყობა და რიგი; ცეცხლის სინამდვილე; ყუმბარათა თადარიგი და მისი შევსება ბრძოლის დროს; პოზიციის ამორჩევა, მომზადება; დაზვერვა; კავშირი; ქვეითა ჯართან ერთად დაბანაკება; თავის ჯარს თავზე გადასროლა; საბრძოლველი მოქმედება შეხვედრითი, შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლაში; მოქმედება ღამით; სამთო და მძიმე არტილერიის მოქმედება.


4. ტენიკური ჯარები: საპიორები; მფრინავი ნაწილები; ჯავშნიანი ავტომობილები და ტანკები; პროექტორები; საგაზო — საქიმიო ნაწილები.

ბ. დამხმარეთა ტაქტიკა.

1. დაზვერვა: მნიშვნელობა და ორგანიზაცია მისი; შორითი და ახლობელი დაზვერვა; დაზვერვა ცხენოსნების მიერ; მხვერავნი ყურისმგდებელნი და პარტიებით ყურისმგდებელთა მოღვაწეობა; ბრძოლაში დაზვერვა; ადგილობრივ საგანთა ტიპიურ სახეების დაზვერვა.

2. საგუშაგო დაცვა: მნიშვნელობა და ორგანიზაცია მი ი; საგუშაგო დაცვის სამსახური და საგუშაგო დაცვის საბრძოლველ მოქმედების საერთო ხასიათი.

3. სალაშქრო მსვლელობა: ძირითადი საფუძველი მისი; გუშაგობა სალაშქრობაზე; შეტევითი,



და ფრთების მოძრაობა; მსვლელობა სროლაზე (უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წვრილი ნაწილების სალაშქრო მოძრაობას და შის დაცვის წესრიგს).

4. ჯარის ყველანაირი ნაწილთა საბრძოლველი მოქმედება; შეტევითი ბრძოლა; საბრძოლველ ველთან; პუნქტის და იერიშის მიმართულების ამორჩევა; შეხვედრითი ბრძოლა; თავდაცვითი ბრძოლა; იერიში და დაცვა გამაგრებულ პოზიციებისა.

5. ადგილობრივ საგანთა გულისათვის ბრძოლა: სიმაღლეები, ხევი, ტყე, დასახლებული პუნქტები, სიმაგრენი და სივიწროენი.

6. საერთო შეხედულებანი. გადასვლა დიდ მდინარეებზე და საბრძოლველ მოქმედების შესახებ ლაშით, ზამთარში, მთებში, ტყეში, ველზე, მცირე ოპის შესახებ.

7. დასვენება: ბიუჯაკი, ბინა-ბიუჯაკი და მიწები; ჯარის სამსახური დასვენების დროს.

(გაგრძელება იქნება)

ი-მე.

როგორ უნდა გამოვიყენოთ ცხენოსანი ჯარი პოზიციური ომის პირობებში*).

საერთო დებულებანი.

§ 1.

დღევანდელი ომი გამაგრებული პოზიციებზე სწარმოებს. ორივე მხარის ცდა მისკენა მიმართული რამე გზით ჩაიგდოს ხელში ეს პოზიციები.

პოზიცია—მთელი სისტემაა გამაგრებული სრელებისა. ყოველი სრელი თავის მხრივ გამაგრებული ხაზების რიგს წარმოადგენს. ხაზები თავდასაცავი ცენტრებია, რომელნიც საგანგებოდ არიან საამისოთ გამაგრებულნი. მინიმალური და ამასთანავე ხელსაწყო მანძილი ცალკე სრულთა შორის, რა-

*) 2 ქრისტეშობისთვის 1918 წ. ესმოხსენება წარედგინა რუსეთის მეორე არმიის უფროსს გენერალ ბალანინს. უკანასკნელმა მოიწონა იგი, დაუზგავნა ცხენოსანი ჯარის უფროსებს, რომ ეხელმძღვანელათ აქ მოთავსებული დებულებით მომავალ იერიშის დროს. ტარნოპოლის რაიონში მომხდარ საიერიშო ბრძოლაში მართლაც განხორციელებულ იქნენ აქ გამოთქმული დებულებები.

მოსხენების მიზანი იყო სახელმძღვანელო იდეების გამომუშავება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვეხმარა კავალერია პოზიციური ომის პირობებში. მას უნდა ერჩენებინა, როგორი რაზმთწყობაა ყველაზე სასარგებლო კავალერიისათვის მაშინ, როდესაც მან უკან უნდა გასდის სანმრებიდან ამოყრილ მტერს.

მოდენიშე ვერსს (2 დან 5 თამდე) უდრის, მაგრამ ხანდახან ფრონტის გასასწორებლათ და ტანტრეკულ მოსახრების მიხედვით საჭირო ხდება სრელები ნახევარი ან მთელი გადასავლით დაშორდნენ ერთმანეთს.

§ 2.

ასეთ პირობებში იერიშის მიმტანი, თუ კი ის შესძლებს რამე გზით ფრონტის გარღვევას, მიზნათ უნდა ისახავდეს ენერგიულ თ სდიოს მტრის დაქმნილსა და უკუქცეულ ნაწილებს. ამასთანავე იგი უნდა ცდილობდეს გააღრმავოს და გაათართოვოს ფრონტის დანგრეული ადგილი მახლობელი პოზიციების შემომწყვდევის ან ზურგის მოვლის საშუალებით. თავდამცვლი მხარე კი, ფრონტის გარღვევის შემდეგ უნდა ცდილობდეს შეიკავოს რაიმე გზით თავის უკუქცეული ნაწილები. ამ მიზნის მისაღწევათ იგი იშველიებს ახალ რეზერვებს და აგეშებს მათ მოპირდაპირეს. თუ ამანაც არ გაიტანა, მაშინ იგი უნდა ეცადოს სწრაფათ დაიხიოს უკან ახალ პოზიციაზე და შეეფაროს თავი ახალ ნაწილებს, აქ იგი უნდა შეეცადოს შეიმაგროს თავი სანამ მოპირდაპირის ზედმეტი ძალა შეუძლებელათ არ გახდის ამას.

§ 3.

პირველ შემთხვევაში ცხენოსანი ჯარის მიზანი იქნება მოპირდაპირის დაშლილი ნაწილებს სავსებით განადგურება და დარღვეული ადგილის გაფართოება. ამ მიზნის მისაღწევათ, კავალერიას ქვეითა ჯარის მხარდაჭერით, იერიში მიაქვს იმ ნაწილების ფლანგების და ზურგის წინააღმდეგ რომელნიც ჯერ კიდევ შეურყევლათ სდგანან თავიანთ პოზიციაზე. თუ მტერი უკან იქცევის, კავალერია ყოველის გზით და საშუალებით მოუსვენებლივ უნდა სდევდეს მას და არ აძლევდეს მას მწყობრათ უკან დახვეის და ახალ პოზიციაზე გამაგრების საშუალებას. მეორე შემთხვევაში, ე. ი. მაშინ როდესაც თვით ჩვენი ფრონტია გარღვეული, კავალერიამ მიზნათ უნდა დაისახოს შეფეროს ჩვენი და დამალული დევნა. თუ ეს შეუძლებელი შეიქმნა მისთვის, მაშინ მან დრო და საშუალება მაინც უნდა მისცეს ჩვენს ნაწილებს, რომ მწყობრათ დაიხიონ უკან და მოიმაგრონ ფეხი ახალ პოზიციაზე.

§ 4.

როდესაც პირველი ტიპის მოვლენასთან გვექნება საქმე ცხენოსანი ჯარის სარბიელზე გამოშვებას შემდეგი პირობები უნდა უძლოდენ წინ: ქვეითა ჯარს ნამდვილათ და სავსებით უნდა ჰქონდეს შესრულებული ფრონტის გარღვევის აქტი

ე. ი. მას დაკავებული უნდა ჰქონდეს მოპირდაპირის სრელის ყველა გამაგრებული ხაზები სივანით არა ნაკლებ 3—3 1/2 ვარსისა. მოპირდაპირის ქვეითა ჯარი უნდა განაგრძობდეს უკუქცევით მოძრაობას. ამასთანავე უტყუარი ნიშნებიც უნდა არსებობდენ იმისა, სხვა უახლოეს ადგილებიდანაც მალე მოიხსნება მტრის ქვეითა ჯარი და იწყებს უკუ ქცევას. თუ ეს პირობები არ იქმნა განხორციელებული, მაშინ როგორი პატარაც უნდა იყოს სამოქმედოთ გამოყვანილი ცხენოსანი ჯარის ნაწილი, იგი სულ ტყუილა გასწირავს თავს და დაიღუპება იმ ტყვიებისაგან, რომელთაც მოპირდაპირე მიაგებებს მას, ჯერ კიდევ შეუტყუველი პოზიციებიდან.

სამხედრო დებულებათა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჯარისთვის.

(გაგებლება).

წინა წერილში მოყვანილ ფაქტებ და სჩანს, რომ ჯარში დისციპლინის დამყარება შესაძლებელია ორის გზით: ან აღზრდით, ან თვით ხალხის კულტუროსნობით და მშვიდობიანობის დროს ჯარში მუშაობით. რამდენათ უფრო ნაკლებათ კულტუროსანია ხალხი, იმდენათ უფრო ძნელია ჯარში მუშაობა. კულტურულ მუშაობის შესახებ ჯარში ჩვენ უკვე გვქონდა საშვალეება გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, — აქ კი შევეხებით მხოლოდ სამხედრო დებულებების მნიშვნელობას ჯარში დისციპლინის შესაქმნელათ და განსამტკიცებლათ.

ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო დებულებები ორ მიზანს ისახავენ: აღმზრდელობის და განმანათლებელს. პირველი კატეგორიის დებულებებს ეკუთვნის: დისციპლინალური წესდება, შინა სამსახურის წესდება და საგარნიზონო სამსახურის წესდება. მეორე კატეგორიას ეკუთვნის: სამწყობრო წესდებანი. პირველი კატეგორიის წესდებათა შესწავლას და განამდილებას ბევრი მეორეხარისხოვან საქმეთ სთვლის, — ეს შემცდარი შეხედულებაა. აღმზრდელობითი მუშაობას მივყევართ ზნეობრივ ელემენტის გასამაგრებლათ და განსამტკიცებლათ, რომელიც ბრძოლაში და ომში უპირველეს როლს თამაშობს. ერთნაირათ განსწავლილ ორ მოწინააღმდეგეთა შორის იმარჯვებს იგი, რომელიც ზნეობრივის მხრივ მალა სდგას. ხშირათ ხდება, რომ ზნეობრივის მხრივ უპირატესობით აღჭურვილი სჯობნის მეორეს, მოწინააღმდეგეს, რომელიც განსწავლულია და თუ გინდ რიცხვითაც მეტია. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ სერიოზულათ ყურადღება მივაქციოთ ჯარის აღზრდასაც და განსწავლასაც.

აღმზრდელობითი დანიშნულების წესდება განხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითადი პირობებია ყოვლისა აჩვენენ მორჩილებას, ურომლისოთ ჯარი ვერასოდეს მიზანს ვერ მიღწევს; აჩვენენ კანონებისადმი პატივისცემას, წესრიგს, ურთიერთ პატივისცემას უფროსთა შორის და ხელქვეითთა შორის, უფროსთა და უნცროსთა შორის, ხელს უწყობს მხედრის მნიშვნელობის შეგნების გადიადებას, ვალდებულებისადმი კეთილსინდისიერ და პატიოსან დამოკიდებულებას და სხვა ვალდებულებათა და უფლებათა მტკიცე განსაზღვრა თავიდან აცილებს უფროსისგან უნცროსის დაჩაგვრას და სხვა ურთიერთ დამოკიდებულების, შინა სამსახურის და საგარნიზონო სამსახურის წესრიგის განსაზღვრა, ყოველდღიური საკაზარმო ცხოვრების მწყობრ, ბანაკში და სალაშქროთ წყობა, ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილება — ყველა ამას თხოულობენ წესდებანი და ამით აუცილებელია მისდევენ კულტურასაც — აღმზრდელობითი ხასიათის მიზანს. ისინი იმუშავებენ არა მარტო დისციპლინიან მხედარს, არამედ მეტათ სასარგებლო მოქალაქესაც, რადგან ჯარში ამით შედის სამოქალაქო მოვალეობა და უფრო კულტურული ცხოვრება, ვინემ ქონდა ჯარისკაცს ჯარში გაწვევამდე.

ჯარისკაცს სამხედრო და სამოქალაქო აღზრდას აძლევს განსაკუთრებით საგარნიზონო სამსახურის წესდება. ჯარისკაცს აქ ევალება ხაზინის დაცვა, დაცვა ისეთი ადგილებისა, სადაც მრავალი ასაფეთქებელი მასალაა, ძვირფასეულობა; აქ ჯარისკაცს თავისი პასუხისმგებლობა აქვს. მას აქვს უფლება ახმაროს იარაღი, ესე იგი ტყვიით მოუპოს სიცოცხლე მას, ვინც მას ამ პოსტზე შეეცილება. პასუხს აგებს იგი თავის მოქმედების სისწორეში და კანონიერებაში. მას არა აქვს უფლება დისტოვოს თავისი პოსტი, თუ გინდ მას სიკვდილით სფრთხეც ელოდეს. ადვილი გასაგებია, თუ რაოდენი ფსიქიური სიძლიერე და ვალდებულების დიდი შეგნება უნდა გამოიჩინოს ჯარისკცმა. საყარაულო სამსახური გონების და ნების ძლიერ დაქიმვას მოითხოვს. განა ეს აღზრდა არაა? ფსიქიურის მხრივ ყარაულის მდგომარეობა წააგავს იმ მდგომარეობას, რომელიც ომში იქმნება, სადაც პასუხისმგებლობა და ცხოვრების იგივე რისკია. ა. ბ.

ჯარის აღზრდა იანაონიაში.*)

სროლის სწავლების წესდება.

ამ წესდების მთავარი აზრია: ასწავლოს ჯარისკაცს მარჯვე თოფის სროლა! და ამისათვის, თო-

*) იხ. რ. ჯ. № 12.



ფის, მარჯვე სროლას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული.

სროლაში სავარჯიშოთ ჯარები შორს უდაბნო ადგილებში გაჰყავთ და იქ რამდენიმე დღე დაღამე თოფის სროლაში ატარებენ დროს.

ხშირად სროლაში შეჯიბრებაც ხდება. ჯილდოთ კარგ მსროლელებს ურიგებენ წინდებს, ხელსახოცებს, თამბაქოს, პაპირსა და „შეტონებს.“ სროლის სწავლა მომეტებული ნაწილად წოლით ხდება, ჩოქითა და ფეხზე ძალიან ძვირად.

სასროლ ნიშნებში უფრო ხშირად თავის ნიშნებს ხმარობენ.

შინა სამსახურის წესდება.

შინა სამსახური ჯარის კაცისა ისეა დაყენებული, რომ ყველა მას შეგნებულათ, ხალისიანათ და ამაყათ ასრულებს. გუნდი გაყოფილია მწყობრებდ, მა უფროსობენ ნაცვლები. ზედამდგის მოვალეობა კი მეტად საპატიოთ ითვლება. უქმე დღეებში ყაზარბები თითქმის ცარიელდება, ჯარისკაცები ნაცნობ ნათესავეთან მიდიან სტუმრებად, ანდა თეატრებში. ქალაქში ჯარის კაცი თავდაჭერილია, ჩაცმულია ძალიან სუფთად და გარეშე ხალხთან ზრდილობიანათ უჭირავს თავი.

ზემო მოხსენებულ წესდებებს გარდა იაპონელი ჯარის კაცი დაწვრილებით გადის ტელეფონის საქმეს, ფერადი ფარჩებითა და დროშებით ნიშნების სწავლებას, გეგმების კითხვას, სანიტარულ საქმეს, გეგმების ხატვას.

ერთი სიტყვით ყოველგვარ მაცადინეობას უფრო პრაქტიკული ხასიათი აქვს, მინემ თეორეტიული.

ჯარის კაცის უბის შიგნი.

იპონელი ჯარის კაცი უბის წიგნს თავის დღეში არ იშორებს და მუდამ თან დააქვს. სიდიდით მათი წიგნი ჩვენსაზე უფრო პატარაა მაგრამ კონტა და ლამაზ ყდამია, ყარანდაშითა და რეზინით წიგნის პირველ ნახევარში მოთავსებულია ჯარისკაცისათვის უსაჭიროესი ცნობები. მეორე ნახევარი უფროსებისთვის არის. აქ ისინი ათავსებენ ჯარის კაცის შესახებ ყოველგვარ ცნობებს:

როგორი წარმატება აქვს მომზადებულებაში, სროლაში, და ზეგრაში, როგორ ასრულებს ბრძანებებს და სხვა.

სასმელ საჭმელი.

ჯარის კაცის საჭმელი შესდგება მოხარშულ მცენარეულების და ბალახების ფესოების წვენიდან, ბრინჯისაგან, თევზისაგან. კვირაში ორჯელ სამჯელ ხორცსაც აძლევენ.

ჩვენს რამდენიმე კაცს ერთად ურიგებენ, ხორ-

ცსა ან თევზს სათითაოდ ომიანობის დროს, ცხენოვნად და კონსერვებს ბლომად აქმევენ. ყაზარბები კონსერვებზე ძალიან დარბიულად, ლოგინი და მისი მოწყობილება სახარბიელო არ აქვთ. სამაგიეროთ ტანისამოსს დიდს ყურადღებას აქცევენ.

ტანსაცმელს ჰკერავენ საუკეთესო ნაქსოვისაგან, სუფთად და ლამაზათ, ისე რომ ომიანობის დროსათვის მეტად ადვილი და მსუბუქი სატარებელია. ზაფხულში ტალოს ჩექმებს ატარებენ, ზამთარში თბილ ფეხსამოსს.

ოფიცრებისა და ჯარის კაცების დამოკიდებულობა და დისციპლინა.

ოფიცრებსა და ჯარის კაცების შორის ისეთი დამოკიდებულება სუფევს, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ოფიცერი სამსახურის დროს ღმერთია ჯარის კაცისათვის, ის მუდამ თავდაჭერილია, გულცივი, მიუკარებელი და დინჯი.

სამაგიეროთ, სამსახურის გათავების შემდეგ, აფიცერი ამხანაგი და მეგობარია ჯარის კაცისა. დისციპლინას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ყველა სამხედრო პირი დიდს ყურადღებით ასრულებს მას. ამ მხრივ ოფიცრები ცდილობენ მაგალითად იყვნენ ჯარის კაცებისათვის.

მამულის სიყვარული და მისი გულისათვის თავდადების სურვილი აორკეცებს და ამტკიცებს მათში დისციპლინას.

სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვა ბავშობიდანვე აქვს იაპონელ ჯარის კაცებს მშობლებისაგან ჩანერგილი, ეს სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს მას გამჯდარი. ეს არის თავი და თავი მოხეზობისა, რომ იაპონელი ახალგაზდობა მოუთბენელად ელის ჯარში წასვლას.

ჯარში ყოფნის დროს გულბოდვინეთ სწავლობენ და ვარჯიშდებიან სამხედრო ხელოვნებაში.

ომიანობის დროს კი სრულიად მომზადებულნი გამოდიან სამშობლოს დასაცავათ და პირნათლიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ავ. აბესაძე.

ოჯიხართა მოველოება ჯარში.

II

წინა წერილში (იხ. „რ. ჯ. № 11) ჩვენ განვიხილეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარში კულტურულ მუშაობას და რომ ამ მუშაობის მთელი სიმძიმე ოფიცრობამ უნდა იღოს თავზე. ჩვენი ოფიცრობის მოწინავე ნაწილი გრძნობს ამ მუშაობის სიმძიმეს, მაგრამ სურვილი და საქმისად-

მი სიყვარული ყოველგვარ სიმძიმესა და დაბრკოლებებს ძლევს. ოფიცრობას ჯარში კულტურულ მუშაობისათვის დროცა აქვს: გარეშე სამხედრო ვარჯიშობისა, ორი—სამი საათი ყოველთვის არის თავისუფალი ჯარში კულტურული შემეცნებისათვის; დარწმუნებული ვართ, ოფიცრობისა და ჯარის კაცთა ის ნაწილი, რომელსაც ესმის თავის საღმრთო მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე—არ მოისურვებენ უქმად და ფუქსავატურად გაატარონ თავისუფალი დრო. რასაკვირველია, ყველა ოფიცერს არ შესწევს ძალა აწარმოვოს ჯარში კულტურულ-გამანათლებელი მუშაობა, ვინაიდან ბევრს მათგანს საამისო არც ცოდნა აქვს და არც განათლება, მაგრამ თითოეულ ნაწილში ერთმა ან ორმა ოფიცერმაც რომ გამოარჩინოს საამისო ენერჯია და ცოდნა ისიც საკმარისია; მით უმეტეს, ამ ეპოქაში ჯარში ბევრი არიან ოფიცრებად ყოფილი მასწავლებლები, რომლებიც კულტურულ მუშაობას ჩვეულნი არიან და მათთვის ეს საქმე არც თუ დიდ სიძნელეს წარმოადგენს; გარდა ამისა ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, სადაც ამას ოფიცერთა კორპორაცია ვერ შესძლებს, არა სამხედრო პირებმაც აწარმოონ კულტურული მუშაობა ჯარში; ეს არავითარ უარყოფითი გავლენას არ იქონიებს ჯარის სამხედრო ცხოვრებაზე, მაგრამ, ვიმეორებთ; ეს დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

როგორი წესით თუ პროგრამით უნდა წარმოსდგეს კულტურული ვარჯიშობა ჯარში? ცხადია აქ დაცული უნდა იქნას თანდათანობითი წესი, ასე ვსთქვათ, ერთგვარი პედაგოგიური ნორმა. ჩვენი ახალგაზრდა ჯარი ამ ეპოქაში, თავისი ცოდნისა და კულტურული განვითარების მიხედვით, შეიძლება გავყოთ საკატეგორიათ: წერა-კითხვის არმცოდნენი, მდბაღლი სწავლით და საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულები. თვითეულ ამ ჯგუფთან ცალ-ცალკე განსაკუთრებული გეგმით უნდა იქნას ნაწარმოები კულტურული მუშაობა; ის რაც ადვილი მოსაწდომი და შესათვისებელია მესამე ჯგუფისათვის, იმის შეთვისება დიდ სიმძიმეს წარმოადგენს პირველსა და მეორე ჯგუფისათვის; უმეტესობა ჩვენი ჯარის კაცებისა კი უფრო პირველი ჯგუფისაგან შესდგება და სწორედ ყველაზე მეტი შრომა კულტურულ მუშაობის დროს ამ ჯგუფთან დასჭირდებათ. უპირველესი ყურადღება წერა-კითხვის შესწავლას უნდა მიექცეს; წერა-კითხვის შესწავლას ძველი რეჟიმის ყაზარმებშიაც კი დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ მიზანს იშვიათად აღწევდნენ, რადგანაც ამ საქმეს საკუთარი შეგნებით და სურვილით კი არ კიდებდნენ ხელს, არამედ ზევიდან

ბრძანებით, „კაზიონათ“ ეპყრობოდნენ. დღეს გვეწინაა ამ საქმეში გულცივობას არ ექნებას. ადვილია წერა-კითხვასთან ერთად საქირთა ზებირ-სიტყვაობით ჩვენი ისტორიის შესწავლა; ამ შემთხვევაში შეიძლება პირველ ორ ჯგუფთან ერთად მაცადინობა, ვინაიდან პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში, ამდენ ხანს მაინც, არ ისწავლებოდა მშობლასური ისტორია. ისტორიის შესწავლის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ისტორიის ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ახლო კავშირი აქვს სამხედრო საქმესთან.

მესამე ჯგუფთან ისტორია უფრო ფართოდ უნდა იქნეს დაყენებული. აქ გარდა ჩვენი ისტორიის შესწავლისა მიმოხილულ უნდა იქნას უცხო ერთა ისტორიაც, გარდა ამისა საქირთა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის გეოგრაფიული და სტრატეგიული შესწავლა. ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა ექსკურსიები ზაფხულობით, ალღუებში.

უნდა იკითხებოდეს აგრეთვე ლექციები ელემენტარულ ჰიგინისა და მედიცინის შესახებ. თუ ზემოდ დასახულ პროგრამის ასრულების შემდეგ დრო დარჩება, საქირთა აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლა და აგრეთვე შესაფუიის წარმოდგენების მართვა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თვითონვე ჯარის კაცნი.

თვითეული საგნის სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გაუშვას ისარგებლოს ყოველგვარ მომენტით, რომელიც ჯარის კაცში განავითარებს პასუხის მგებლობის კულტურას;

თუ როგორ უნდა მოეწყოს ოფიცერთა შორის ჯარში კულტურული მოწყობისათვის ორგანიზაცია, ამის შესახებ შემდეგ.

გრ. მაჭავარიანი.

სხანოსანი ჯარი ბრძოლის ველზე.

მასროლი იარაღის განვითარებამ დასცა ცხენოსან ჯარის მნიშვნელობა. ბოლო დროს ხშირად გაისმოდა ხოლმე ხმა, თითქოს ის სრულებითაც აღარ იყოს საქირთა. როცა ასე მსჯელობენ თანამედროვე ცხენოსან ფრიდრიხ დიდის დროის ჯარს აღარებენ: მაშინ ცხენოსანი ჯარს პირდაპირ ბრძოლის ბედს სწყვეტდენ შექონდათ რა არეგ-დარევა მოწინააღმდეგეთა რაზმებში.

მაშინ ე. წ. ხაზობლივი ტაქტიკა ბატონობდა. ჯარი ეწყობოდა ორ, სამ ხაზად; უკან დამხარე ჯარის რეზერვი კი სრულიად არ არსებობდა. ჯარი ომისთვის ირჩევდა გაშლილ ველს, სადაც ცხენო-

სანთ თამამად შეეძლოთ მოქმედება. ჯარის გადაჯგუფება ერთ ადგილიდან მეორეზე ხდებოდა და ძლიერ ნელა. რა გასაკვირალოა, რომ ასეთ დროს ჯარის ხაზის რომელიმე ადგილას ასეთ პირობებში ფრიდრიხისეული ცხენოსანნი დიდ როლს თამაშობდნენ და მათ მიზანშეწონილ მოქმედებას ქონდათ თითქმის მუდამ გადამწყვეტი მნიშვნელობა. თანამედროვე სამხედრო წყობილება სრულიად სხვაა. ჯარს ტაქტიკური წყობილება დღეს დაფუძნებულია ძლიერ დამხმარე ძალაზე და ჩქარა გადაჯგუფების პრინციპზე. ასეთ დროს შემტევი ცხენოსანი პირველი ხაზის გარღვევის შემდეგ, საცა წინ მიდის, მით უფრო უფრო ძლიერ ძალას ხვდება რაც არსებითად ამცირებს ცხენოსანთა მოქმედების მნიშვნელობას. გარღვეულ ადგილს სარდალი ყოველთვის შეავსებს დამხმარე ძალით და ცხენოსანი ან ტყვედ ჩაუვარდება, ან და დამარცხებული, დიდი ზარალით გამობრუნდება უკან. ესეც რომ არ იყოს რა მნიშვნელობა აქვს რომელიმე წერტილზე ხაზის გარღვევას, როცა თანამედროვე ბრძოლის ხაზი ას და ორას ჯერს აღწევს სიგრძით.

ცხენოსანთა შეტევის შედეგებს ამცირებს აგრეთვე გარემოება რომ ქვეითა ჯარი შეიარაღებულია შორს, ჩქარა და მიზანსწორად მსროლელი იარაღით ასეთ პირობებში შეტევის შედეგებთან შედარებით მსხვერპლი იმდენათ დიდია რომ ხშირად სრულებით შეუძლებელი ხდება ცხენოსანთა დამარცხება და ცეცხლში გახვევა. რამდენად დიდია ზარალი შეტევის დროს ეს იქიდან სჩანს, რომ 1806 წლის ომის დროს, გენერალ ბრედოვის ექვსი გუნდიდან დაბრუნდა მარტო ერთ გუნდზე ცოტა მეტი, ხოლო ბრიგადა გენ. მიშელისა მე-13 გუსარის რაზმთან ერთდ სრულებით განადგურებულ იქნა.

დღევანდელ პირობებში გენიოსნი სარდლები ზეიდლიცი და ციტენიცი ვერ იზამდნენ იმაზე მეტს რასაც, შურებიან ჩვენი ცხენოსნები. მათ დროს თანამედროვე ცხენოსნებიც მოახდენდნენ სასწაულებს. ზემო თქმულიდან თითქოს ის დასკვნა გამოდის რომ ცხენოსანი ჯარი სრულებით არ არის საჭირო, ან და თუ არის საჭირო, მხოლოდ მტრის დასაზვერავათ, ან ცნობების გადასატანათ. მაგრამ ჩვენი ფიქრით ეს ასე არ არის ცხენოსანი ჯარი წარმოადგენს თავისებურ გვარს ჯარისას.

ერთი ნიშნობლივი თვისებათაგანი ცხენოსანი ჯარისა, არის მისი სიძარღე. ეს უპირატეობა ყოველთვის ექნება ცხენოსან ჯარს რა რიგათაც უნდა განვითარდეს სხვა იარაღები და თვით ჩქარა ვადჯგუფების ტენიკური საშუალებანიც. სიძარღე მოძ-

რაობისა წარმოადგენს ერთს უმნიშვნელს რესპუბლიკის მენტს სამხედრო გამარჯვების საშუალებას. ცხენოსანთა ლაღ კი არ ამბობდა ნაპოლეონი: „ომში და შეტაკებაში გამარჯვება დამოკიდებულია ფეხზე“. ფრიდრიხის დროის ცხენოსანი მარტო იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ საჭირო დროს გადადიოდნენ შეტევაზე და არღვევდნენ ბრძოლის ხაზს, რასაც მაშინ გარდამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. დღეს ცხენოსანთ არ შეუძლიათ შეტევა მოწინააღმდეგის უძლიერეს ნაწილზე წინა ფრონტზე, ამიტომ მთელი თავისი ყურადღება მათ უნდა მიაქციონ ზურგს.

სამხედრო წესი ანუ დისციპლინა

ზოგიერთა შეუგნებელ ჯარის კაცებს შეტადრე უფრო იმათ, ვისაც უმსახურია რუსეთის ჯარში, მონარქიულ წესწყობილების დროს, სიტყვა „დისციპლინა“ ძალიან აშინებს. მართალია იქ, დისციპლინა აშენებული იყო ხშირად უშინაარსო და დესპოტიურ წესებზედ, ამიტომ, გასაკვირველი არ არის, რომ დღეს „დისციპლინა“ მათ კარგს არაფერს მოაგონებს.

ახლავე ჩვენ უნდა ჯარში შემოვიდოთ იმნაირი წესი იმნაირი „სუბორდინაცია“, რომელიც შექმნის პსიხიურათ ერთი ერთმანეთის დამორჩილებას. თუ უფროსი თავისი ცოდნით, განვითარებით და ჰუმანიურ მოპყრობით დაიმსახურებს უმცირესობაში ავტორიტეტს, მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმცროსი ხალისით დამორჩილება თავის უფროსს. აბა იღვთი შეუგნებელი ჯარის კაცი, რომელიც სრულიათ უარს ჰყოფს სამხედრო წესებს, დაჯექით მასთან და ამხანაგურათ ებასეთ მას რომელიმე ტემაზედ რამდენიმე წუთი, მაშინ შეამჩნევთ, რომ იგი უფრო გახალისდება და კარგი თვალით შემოგხედავთ. ამნაირი საუბარი იმოქმედებს იმაზედ, როგორც ჰიპნოზი.

მაშასადამე ჯარის კაცი უნდა აღიზარდოს სხვათა შორის პსიხიური გავლენით.

ჩვენ ქართველ ჯარის-კაცს არ მოსწონს, როცა მის პიროვნებას არა სცნობენ, ან შელახავენ.

ქვეოი რეჟიმის დროს, უმცირესი იყო ცოცხალი მანიკენი, ავტომატი, ფიზკურ შიშს ქვეშ მყოფი, ინიციატივას მოკლებული.

ის უფროსის წინ იდგა გაჭიმული ხესავით და მონურად გაიძახოდა „ТАК ТОЧНО! НИКАК НЕТ!“ მაშინ ის მარტო იმას ფიქრობდა, როგორ დაეჭირა თავის თავი და ფეხები, შეგნებას კი მოკლებული იყო. ამნაირი წესები ჯარის კაცში და სა-



ზოგადოთ უმცროსში ჰკლავდნენ თავმოყვარეობას და ყოველ აზრს, რომელნიც საჭიროა, პირიქით, აღწვარდოთ მასში. ჩვენი ქართველი ძალ თავმოყვარეა და ბრბო არასოდეს არ შეუტივდებია ამ გვარ დამამცირებელ წესს. რუსეთის გლეხის ფსიხოლოგია სხვაა და ჩვენი გლეხის სულ სხვა.

ქართველი ჯარის კაცი უფრო თავისუფლების მოყვარეა ვიდრე რუსის.

ჩვენი ჯარის კაცს თუ უფროსი გულს უჩვენებს, დაუახლოვდება ამხანაგურათ, შესაფერ თარგლებში იქონიებს გავლენას იმის ფსიხიკაზედ. იგი სრულიად დაემორჩილება ამნაირ შეგნებულ დისციპლინას.

საჭიროა თანდათან შემუშავდეს ახალი დემოკრატიული და ჰუმანიური დისციპლინა, შესაფერ ქართველი ჯარის ფსიხოლოგიისა.

ვ. ოქუაშვილი.

ჯარი და მისი რაოდენობა.

მოქალაქეთა მეომრებათ აღრზდას, მათ გაწვრთნას და ლაშქრათ შეერთებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის; ეს აღრზდა და გაწვრთნა უნდა სწარმოებდეს დიდი ხნით ომამდის, განუწყვეტლივ დათანდათანობით; წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარი ვერ იქნება მომზადებული საბრძოლველათ, რადგან სამხედრო საქმის არ ცოდნის გარდა, იგი მოკლებული იქნება უმთავრესს: შინაგან მთლიანობას.

თუ ომი აუცილებელია სახელმწიფოთა შორის, აუცილებელია კარგათ აღრზილი, გაწვრთნილი და ორგანიზაციულათ შეკავშირებული ჯარის ყოლა, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს დახელოვნებული უფროსებიც.

თუ ჯარი არ არის ასე მომზადებული, და სახელდახელოთ არის ომის წინ შეგროვილი, წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოუსადეგარი იქნება. სამხედრო საქმე ისე გართულდა, რომ ჯარის ერთბაშათ შექმნა შეუძლებელი გახდა, მის შემზადებას დროით უნდა შეუდგეს სახელმწიფო, თანდათანობით და შეუწყვეტლივ მიჰყვეს.

ეს თითქოს ყველასათვის ცხადია; ჯარის ორგანიზაციული შეკვრა და გაძლიერება არის ნაყოფი მხოლოთ ხანგრძლივი სამხედრო აღრზისა.

გონიერი დისციპლინის ბრძანებით შექმნა — არ შეიძლება. ის აღიზრდება თანდათანობით და თანდათანვე იქცევა ჩვეულებათ. არც სოლიდარობისა გულწრფელი დაახლოვების შექმნაა ადვილი ჯარის კაცის და ოფიცრების შორის, რადგან ეს დამოკიდებულია ერთი მეორის ცნობაზე და მიჩვევაზე.

„ის ერი, რომელსაც არ სურს შეეწყოს თავისი სახელმწიფოს თავის საკუთარი ჯარი, იძულებული იქნება შეინახოს და ასახლოს მტრის ჯარი“.

ჯარის რაოდენობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მატერიალურ ძალაზე, მის პოლიტიკურ როლზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, საომარი ფრონტის სიგრძეზე, მცხოვრებთა რაოდენობაზე, სამსახურის ვადაზე და შეიარაღებაზე.

რიცხვ მრავალი ჯარი არ წარმოადგენს მანც და მაინც აუცილებლობას. სახელმწიფოს იფარავს არა ჯარის რიცხვი, არამედ მისი ღირსება, მისი ვითარება. ჯარის მეტის-მეტი გამრავლება უსარგებლო გატაცებათ უნდა ჩაითვალოს.

ჯარის უზომოთ გადიდება უსარგებლობას გვიმტკიცებს ომების ისტორიაც; იგი გვიჩვენებს, რომ ყოველივე დიდი და მძიმე პოლიტიკური აქტები შეუსრულებია საერთოთ მცირე, მაგრამ მოძრავს და კარგათ ხელმძღვანელ ჯარს. ამ გზით შეუძლია მხოლოთ სახელმწიფოს გადახაროს თავისკენ ძალთა სასწორი და არა ჯარის რაოდენობის მექანიკურ გადიდებით.

ხალხის ქონება რომ უბრალოთ არ იხარჯებოდეს, ჯარი უნდა იყოს ისეთი მომზადებული, რომ უზრუნველჰყოს თავის მხარე ყოველივე გარეშე სახელმწიფოების ცული განზრახვისგან. ჯარის ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს ისეთ სკოლას, რომლის გავლითაც მამაკაცი ვითარდებოდენ და მაგრდებოდენ ფიზიკურათაც და სულიერათაც. ჩვენ განსაკუთრებით ადვილათ შეგვიძლია შევქმნათ ასეთი სკოლა, რადგან მასალა გვაქვს საამისოთ კარგი. თუ ეს შევქელით მაშინ მცხოვრებნიც დიდის სიყვარულით და კეთილგანწყობილათ შეხედვენ ჩვენს ჯარს.

ა. მიქაშვიძე.

ლაშქრულ II.

ვაშა და ვაშა მარადი მეფე ერთობას ხალხთასა, პატარა საქართველოსა, თავისუფლების კალთასა. და გაუმარჯოს ლაშქრობას გმირულს, გმირობის გზიანსა, ერთაშორისო სიყვარულს, დღეს მომავალსა, მზიანსა. მუდამ ვიცოდით სიკვდილი, ბრძოლა და ჟამი ღმერთისა, სიცოცხლისათვის გაწირვა სიცოცხლისავე ჩვენისა. კიდევ ჩავივლით სოფელში ქუდმოქცეულნი გვერდზედა,

სახელოვანი გმირების
 მადლი ჩამოვა ჩვენზედა.
 წინ დაგვეგება ლამაზთა
 ღიმილი ფიანდაზადა,
 ბრძოლაში შეუბოვარნი
 მათ წინ გავივლით ნაზადა...
 მაშ გაუმარჯოს მარ დის
 მეფე ერთობას ხალხთასა,
 პატარა საქართველოსა,
 თავისუფლების კალთასა!

ი. მჭედლიშვილი.

ნუჯას გოლოდინი.

(სურათი)

ღამეა. სოფლის შენობათა ჩრდილებს მყუდროდ
 სძინავს მთვარის შუქზე. მტკვრის მიდამოები იღუ-
 მალ სიჩუმეს მოუტაცავს; და ამ იღუმალეობას უსიტ-
 ყვო ღამე ნაზ პარმონიათ ამეტყველებს.

უცნაურ სიზმრებში ბუნება სთვლემს. სძინავს
 სოფელს და საშინელი მოჩვენებათა ლანდები აწვა-
 ლებს მის ძილს.

მხოლოდ ტკბილად მოადუღუნე მტკვრის დაუს-
 რულელებელი ნანა სთესავს ხმებს ირგლივ ტკბილ
 და ნაზ ძილის პირს უმღერის შფოთვით მძინარე
 სოფელს.

პატარა გორაკის პირას სდგას ქვითკირის და-
 ბალი შენობა; ნაღვლიანათ გადასცქერის მტკვარს
 და სდარაჯობს ღამის მყუდროებას.

ღია კარების წინ სდგას ძველ ტანსაცმელში გახვე-
 ული, მოხუცი ქალი. ის მწუხრის თვალით შესც-
 ქერის ზეცას და მთვარიან ღამით, მოლოდინში
 ქარგავს მწუხრის ფიქრებს.

ის ელის დაუსრულებლათ, ელის თავის სამ
 შვილს; აგერ სამი წელიწადია, რაც ისინი სადღაც
 შორს, შორს წაიყვანეს. მოვიდა ომი და წაიყვანა
 ისინი და ის ელის ყოველ ჟამს, ელის თავის
 შვილებს და ამ ღამით, ამ მთვარიან ღამით, რო-
 დესაც ყველაფერს ძილი შემოხვევია, ის გასცქე-
 რის შორეულს გზას და ელის. სევდით გაყი-
 ნული ცქერით მისჩერებია ის მტკვრის გაღმა
 თეთრად გადაგრებილ გზას; ვინ გამოიარს, ვინ
 გამოჩნდება, ვინ გადმოუხვევს აქეთ წვრილ ბილიკ-
 ზე? ისინი, ისინი მოვლენ. მისი პეტრე, დათა და
 ნიკა, უეჭველათ მოვლენ; მისი საყვარელი, წყნა-
 რი და მშვიდი ბიჭები; მოვლენ და შემოეხვევიან
 ყელზე გახარებულნი და გაახარებენ ლოდინით
 დამწვარ დედას.

მოვლენ მისი სოფლის თვალი გვრიტები, ვე-
 ნახს ჩვეულებრივათ პატარძალსავით მორთავენ,

წაბლას და ნიკორას დაღვრემილ ვალებს დაუთმობენ
 კონიან, დაცემულ ოჯახს ფეხზე წამოაყენებენ
 და სევდიან სახლის ქერს და დამწუხრებულ კერას
 გაახარებენ.

ტკბილ ოცნებებით და იმედებით შეპყრობილა
 დედა.—ღრმათ დარწმუნებულია, რომ უსათუოთ
 მოვლენ მისი სიამაყე შვილებიც, მოვლენ და ისი-
 ნიც გვარდიაში ჩაეწერებიან. თოფ-იარაღში ჩასხ-
 დებიან და სამშობლოს სახელოვანათ უდარაჯებენ,
 მტერს მტრულათ შეხედებიან, მოყვარეს მოყვრუ-
 ლად უპასუხებენ; მკვდრეთით ამგვარ გაცოცხლე-
 ბულ საქართველოსათვის ისინიც თავს დასდებენ,
 დედას და სოფელს ასახელებენ.

...და თუ სამშობლოს გულისათვის ბრძოლის
 ველზე ისინი გმირულათ დაეცემიან, მაშინ ის
 როგორც სახელოვანი დედა,—უტრემლოთ, მი-
 ბარებს მათ სამშობლოს დედა-მიწას...

და ტკბილ ოცნებით გატაცებული, წინ ხე-
 ლებ-გაწვდილი, შავ მანდილ ვაფრიალებული დედა
 ირხევა წინ მიიწვეს და ვერხვის ფოთოლისავითა
 თრთის; მას თვალ წინ შვილები ელანდებიან; და
 ის თითქოს მათ თავს ევლება, ეალერსება...

— პეტრე, დათა, ნიკა... დედა გენაცვალოთ...
 თავ-დავიწყებული იძახის ნუცა და მათ მოსახვევათ
 კვლავ წინ იწვდის აცახცახებულ და ათრთოლებულ
 ხელებს...

აგერ ბილიკზე გამოჩნდნენ ვიღაც მგზავრები;
 დედა მთლათ ცქერათ და სმენათ გადიქა, სული
 გაკმინდა, გაშეშდა. აგერ ისინი ბორანს მოადგნენ
 აგერ ბორანიც მძიმეთ დაიძრა და მთვარის შუქზე
 მომხიბლავათ გაბრწყინებულ მტკვარის სარკვე
 დინჯთ იწყო სრიალი.

— „ისინი არიან, ისინი არიან,“ იძახის დედა.
 და მტკვრისაკენ მიჰქრის მათ შესახვედრათ.

უცხო მგზავრებმა გვერდი აუარეს. ზევით სოფ-
 ლისაკენ გზა განაგრძეს.

მისი გული მწარეთ იკუმშება. მწარე ცრემლე-
 ბი სწვავს მის დადონებულ თვალთ.

ცდომილი წინათ გრძნობა იღვიძებს, არამი
 გელისავით თავს მალა სწვეს და თავის შხამიან
 ნესტარს იმედების ყვავილებით გულს გესლიანთ
 უტრიალებს.

გამწაკებული ნუცა ცხარე ცრემლით უსიტ
 ყვოთ, უხმოთ იმდულრება; მის გულში ჯოჯობე-
 თი ტრიალებს, მაგრამ მაინც ისევ გასცქერის სა-
 ბედისწერო გზას, მაინც ელის, მოუთმენლათ ელის
 თავის პეტრეს, დათას და ნიკას.

მწარეთ აღუღუნებული მტკვარა კი მოსთქვამს
 სისხლან მოთხრობას შორს, შორს ბრძოლის ველ-
 ზე, უცხო მიწაში გათხრილ საფლავებზე.

ხოლო დედის გული კი ელის, მაინც ელის...

ბ. პართენაშვილი.

კვირული მიმოხილვა

ჩვენი შინაური, სულდაბალი მტრები კიდევ არ ცხრებიან; მათი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად მუდამ ჭოროკანობა და პროვოკაციით აღსავსე ცრუ ხმების გავრცელება იყო. ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ თვეებში, ეს ვაჟბატონები მორიგ ჭორებს პრესაში აცნობდნენ. მიზნით ჰქონდათ სახელი გაეტეხნათ საქართველოს მთავრობისათვის, მაგრამ ვერასოდეს ვერ აღწევდნენ თავის მდაბიურ ხარისხიდან გულისწაღილს, რადგანაც ყველა მიუდგომელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმომხილველი რწმუნდება იათ მიერ გავრცელებულ ხმების სიყრდემში. ჩხლა კიდევ თავისი სამარცხვინო ფრონტი პრესიდან ქუჩაზე გადმოიტანეს; უკანასკნელ დღეებში გავრცელეს კიდევ ახალი ჭორი-ვითომ ჩვენ მთავრობას რეგულიარული, ჯარის ებრძოდეს, არ ცნობდეს. პროვოკაცია განგებ, სწორედ იმ დროს გავრცელეს, როცა ჩვენი ახალგაზრდა ჯარი იბრძვის ახალციხის რაიონში დაბანაკებულ ურდოების წინააღმდეგ, რათა გაანთავისუფლონ ჩვენი მიძმე ახალციხელი ქართველები აწიოკებისა და ოჯახ-დოვლათიონობის განადგურებისაგან, დაიკვან ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობა ფაშა, ბეგების რიაქციონურ შემუსვრი აგან. ამ შემთხვევაშიაც ამ ჭორიკანების მიზანი აშკარაა: სურთ დაასუსტონ ჩვენი სამხედრო ძალების მოქმედება, სურთ ჩამოაგდონ პანიკა ჯარში, გული ააცრუებინონ ჩვენ ახალგაზრდა ჯარს გმირულ ბრძოლაზე, მაგრამ ამოდ—ჩვენ, ჯარი არც ისე ახალგაზრდაა, რომ ვერ შესძლოს დაფასება ამ მორიგ პროვოკაციის. ჯარი ერთადერთი იმედი და სასიკეთოა ჩვენი, რომლიდანაც მოველით ჩვენი სუვერენიტეტის საბოლოოდ განმტკიცებას; ჩვენ მთავრობას ეს კარგად ესმის და ამიტომაც არის რომ, ის, მიუხედავად ჩვენი ფინანსური სისუსტისა, ყოველივე ღონის ბმარობს მტკიცედ მოაწყოს სამხედრო ორგანიზაციული აპარატი, ყოველ მხრივ უზრუნველ ჰყოფს ჯარის მდგომარეობა. ამ ღვაძლიან ჭორიკანების წინააღმდეგ ბრძოლაში არამც თუ მთავრობამ, ფართო მისამაც კი მონაწილეობა უნდა მიიღოს, რათა სამუდამოდ აედოს ლაგამი მათ ქუჩურ, პროვოკაციით სავეს ხმებს.

ახალციხიდან ჩვენი ჯარის მოქმედების შესახებ ჯერ ოფიციალურად არაისმისრა! სჩანს ჯერ არ დაწყებულა შეტევა დარწმუნებული უნდა იყენებ ჩვენ მტერ-მოყვარენი, რომ აქაც ჩვენი ჯარი გმირულის თავგანწირვით ეკვეთება ჩვენ მიწა-წყალზე შეიოკრილ მტერს და ერთხელ კიდევ დაანახებებს ყველას, თუ როგორ უნდა მტერთან ბრძოლა დემოკრატიულ სახელმწიფოსა და სამშობლოს დასაცავად.

წარსულ კვირაში მიღებული ცნობების მიხედვით ვენ. დენიკინი, ლიანოვის რეაქციონურ ჯარს კიდევ რაოდენიმე გამარჯვება ხვდა ილად: უკანასკნელად მათ ხელთ იგდეს მთელი თერგის ოლქი. ეს გამარჯვება ჩვენთვისაც საფრთხეს წარმოადგენს: ჯერ ერთი მით, რომ ჩვენ მოსახლვრე და მეზობელ ხალხის ბატონ-პატრონობას კისრულობს კონტრ-რევოლუციონური გენერლობა, რომლის მიზანია დაამყაროს დიდ რუსეთის ყოფილ „ურჩ“ ნაწილებში „წესიოვი“ და მეორეთ არ შეგვიძლია დარწმუნებულ ვიყოთ, რომ დენიკინ-ლიანოვის ჯარი ჩვენსკენაც არ მოინდომებს გამოსეირნებას. გარდა ამისა, დენიკინის ამ ახალ გამარჯვებით აუტანელი გამხდარა თერგის ოლქში მცხოვრებ 30-ათასი ქართველის მდგომარეობა; დენიკინს სურს იქაური ქართველობა გაათიყენოა რეაქციონურ მიზნების განსახორციელებელ ძალებათ და ბრძანება გაუცია: თუ თერგის ოლქის ქართველობა თებერვლის ბოლომდე არ დასტოვებს თერგის ტერიტორიას, გაწვეულ იქნებიან დენიკინის ჯარში 18-45 წლამდე. ჩვენმა მთავრობამ ამის გამო

სასტიკი პროტესტი განაცხადა, ამის შესახებ ცნობა ინგლისის მისიას და დასძინა, რომ უკე თუ დენიკინი თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს, საქართველოს მთავრობაც აგრეთვე მოექცევა საქართველოში მცხოვრებ რუსებსო. შედეგი ჯერ არა ვიცით რა. ვნახოთ შეცვლის თუ არა დენიკინი თავის განკარგულებას. თერგის ოლქიდან ლტოლვილ ქართველების გადმოსაყვანად კი მთავრობამ ჯერ-ჯერობით 500,000 მანეთი გადასდო.

წარსულ კვირაში დასრულდა სომეხ-ქართველთა თათბირი. გაირჩა ბევრი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები, აღდგენილი იქნა ჩვენსა და სომეხებ შორის შეწყვეტილი კავშირი; სომხის დელეგაციამ მიიღო საქართველოს წარმომადგენელთა წინადადება კავკასიის ოთხ რესპუბლიკათა კონფერენციის მოწვევის შესახებ, უპასუხისმგებლო დაშნაკტუთუნის წყალობით დაიღვრა, უმანკო სისხლი ისტორიულ მეზობელ ერთა შორის, მაგრამ ბოლოს მაინც მოინახა საერთო ენა, საშუალება რომელიც, ვიმედოვნებთ აწი მაინც უზრუნველ ჰყოფს ჩვენსა და სომეხებს შორის კეთილგანწყობილების დამყარებას, რაც ასე საჭიროა ორთავე მეზობელ რესპუბლიკისთვის.

ჩვენი შინაური ცხოვრების თვითთული დარგი დღით-დღე ყალიბდება, ხორცს ისხამს. წარსულ კვირაში შესდგა რესპუბლიკის ერობის მოღვაწეთა ყრილობა, ყრილობამ შეიმუშავა მთელი რიგი სამოღვაწეო გეგმისა; პირველ ხანებში ერო ის ნორმალურ მუშაობას არა დაბრკოლება გადაელობება წინ; ერობას ძალიან ბევრი იაშეები აქვს გასაკეთებელი, ბოლოს და ბოლოს მთელი ჩვენი შინაური საქმეების აპარატი ერობას დააწვევა კისრად; დადგა დრო, როცა ქართველმა დემოკრატიამ თვითონვე, ძირიდან, უნდა განავოს თავისი ყოფა ცხოვრება. იმედია, ჩვენი ერობის მოღვაწენი და საერთოდ სოფლის მესვეურნი მკვიდრ ფუძეზე დაამყარებენ საერო ბო მუშაობას.

გა. საქარიქელელი.

ქრონიკა

— ჩვენი საზავო დელეგაციის წევრები კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი სტამბოლიდან მარსელში მივიდნენ. დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ სტამბოლში არიან.

— ბალშევიკების ცნობით ტრიპოლში არაბები აჯანყდენ. იქ მყოფი იტალიის ჯარები აჯანყებულთ ებრძვიან.

— გენ. დენიკინი თერგის ოლქ. მცხოვრებ ქართველებს ჯარში გაყვანით ემუქრება. ჩვენმა მთავრობამ ეს აცნობა ინგლისის მისიას და დასძინა, რომ უკეთუ დენიკინი თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს საქართველოს მთავრობაც აგრე მოექცევა საქართველოში მცხოვრებ რუსებს.

— ბრძოლა პეტლიურას ჯარებსა და ბალშევიკებს შორის უკრაინაში გრძელდება.

— სამსახურში ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის სამხედრო მინისტრის გინკარგულებით დაითხოვეს სამსახურიდან პორუჩიკები კალანდია, ჰანტურია და ვახმისტრი ბუკია. მათი საქმე სამხედრო ბრალმდებელს გადაეცა.

— ინგლისის მისიის ცნობით ინგუშები და ოსები დენიკინის ჯარს შეუერთდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

— კავკავიდან მიღებულ ცნობით ბალშევიკებს აულიათ დონის როსტოვი და ეკატერინოდარისაკენ მოიწვიენ.